გონივრულობის კრიტერიუმის პრობლემა პოლიტიკურ ლიბერალიზმში

ნანა სიხარულიძე

სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე ფილოსოფიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

პროგრამა: ფილოსოფია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თამაზ თოხაძე, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2025

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნანა
სიხარულიძე

18.06.2025

აბსტრაქტი

თანამედროვე ლიბერალურ დემოკრატიებში მოქალაქეები პოლიტიკური პროცესების მნიშვნელოვანი აქტორები არიან. ნაშრომი კი იკვლევს, თუ რა ეპისტემურ კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს ლიბერალური დემოკრატიის გონიერი მოქალაქე და რამდენად საკმარისია ჯონ როლზის მიერ ჩამოყალიბებული გონივრულობის კონცეფცია მოქალაქეთა რწმენების ეპისტემური გამართლებისთვის. კვლევა ეფუძნება ჯონ როლზის "პოლიტიკური ლიბერალიზმის" ანალიზს, კერძოდ, გონივრულობის კონცეფციის, გონიერი მოქალაქეებისა და გონივრული უთანხმოების ცნებების განხილვას. გონივრულობის კრიტიკის საფუძველზე ნაჩვენებია, რომ როლზის მიერ შემოთავაზებული მოდელი, მიუხედავად მისი პოლიტიკური ფუნქციურობისა, მოქალაქეთა რწმენების ეპისტემურად გამართლებულობისთვის საკმარის სტანდარტს არ იძლევა.

ნაშრომში გამოკვეთილია განსხვავება გონივრულობასა და ეპისტემურ რაციონალურობას შორის. ასევე, მაგალითებით არის დასაბუთებული, რომ გონივრულობა ეპისტემური რაციონალურობის სტანდარტს უნდა მოიცავდეს. კვლევის ბოლოს ჩამოყალიბებულია არგუმენტი პოლიტიკური ეპისტემური რაციონალურობის შესახებ და ახსნილია, თუ რატომ ეკისრებათ ლიბერალური დემოკრატიის გონიერ მოქალაქეებს მსგავსი ტიპის პასუხისმგებლობა.

საძიებო სიტყვები: გონივრულობა, გონივრული უთანხმოება, ეპისტემური რაციონალურობა, რწმენების გამართლებულობა, პოლიტიკური ეპისტემური პასუხისმგებლობა

Abstract

In modern liberal democracies, citizens are key actors in political processes. This thesis explores the epistemic criteria that the reasonable citizen of a liberal democracy must meet and examines whether John Rawls's concept of reasonableness is sufficient for the epistemic justification of citizens' beliefs. The research is based on an analysis of John Rawls's Political Liberalism, specifically focusing on the concepts of reasonableness, reasonable citizens, and reasonable disagreement. Through a critique of Rawls's notion of reasonableness, the thesis argues that, despite its political functionality, the model he proposes does not provide an adequate standard for the epistemic justification of citizens' beliefs.

The distinction between reasonableness and epistemic rationality is highlighted, and it is demonstrated through examples that reasonableness must include the standard of epistemic rationality. In the final part of the research, an argument for political epistemic rationality is developed, explaining why reasonable citizens in a liberal democracy bear such an epistemic responsibility.

Keywords: Reasonableness, Reasonable Disagreement, Epistemic Rationality, Justification of Beliefs, Political Epistemic Responsibility